



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 209

2013 წლის 27 დეკემბერი  
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის  
დამტკიცების შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16  
მუხლის მე-2 პუნქტის “ქ” ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის 2014 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 138 817 (ასოცდათვრამეტიათასრვაასჩვიდმეტი) ლარით.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #13).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

## მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი.

### პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება.

### პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;
- საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა;
- მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია;
- მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია;
- სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;
- სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია;

### პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები **138 817** ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	101664
22	საქონელი და მომსახურება	37153
	სულ	<b>138817</b>

## **პროგრამის ხანგრძლივობა:**

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

## **პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:**

აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები.

დამთვალეირებელთა რაოდენობის ზრდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება.

მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

## **შეფასების ინდიკატორი:**

მუზეუმში დაცული ექსპონატების დამთვალეირებელთა რაოდენობა;

ორგანიზებულად განხორციელებული პროექტების და მათში მონაწილეთა რაოდენობა.